გენერალური ხელშეკრულება 162

წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება დადებულია ქ. ბათუმში, 2011 წლის 3 ოქტომბრიდან (შემდგომში "*ხელმოწერის დღე*") შემდეგ მხარეებს შორის:

ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი:

(1) შპს "თერგი XXII" (ს/კ 245629057), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ედნარ ბაგრატიონის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის 31 (შემდგომში "*გამყიდველი*");

(2) ს.ს.ი.პ. „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი " ს/კ 2045788242), წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ დემეტრაშვილი იურიდიული მისამართი: მელაშვილის 26 შემდგომში ("*მყიდველი*").

1. ტერმინთა განმარტება

1.1 *პროდუქცია* – სხვადასხვა მწარმოებლის მიერ დამზადებული უალკოჰოლო სასმელები, რომლის სახეობები და ფასები მოცემულია *ხელშეკრულების* №1 დანართში.

1.2 *მხარე* – *გამყიდველი* ან *მყიდველი*;

1.3 *მხარეები* – *გამყიდველი* და *მყიდველი* ერთობლივად;

1.4 *შეკვეთა* - *მყიდველის* მიერ *გამყიდველის* მიმართ განხორციელებული წერილობითი მოთხოვნა, სადაც განსაზღვრულია მისაწოდებელი *პროდუქციის* სახეობები და რაოდენობები;

1.5 *ფორს მაჟორული გარემოება* - სტიქიური უბედურებები და ტექნოლოგიური კატასტროფები, ხანძარი, საომარი მოქმედებები, სამთავრობო გადაწყვეტილებები ან დაუძლეველი ძალის სხვა გარემოებები;

1.6 *ხელშეკრულება* – წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება და მისი დანართები.

2. წინაპირობები

(ა) *ხელმოწერის დღისათვის* *გამყიდველი* არის *პროდუქციას* კანონიერი მესაკუთრე ან/და მფლობელი, ხოლო *მყიდველი* ეწევა სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის კვების პროდუქტებით ვაჭრობას) და ამ მიზნით საკუთრებაში ან/და მფლობელობაში გააჩნია სავაჭრო ობიექტი, რომელიც მდებარეობს: მელაშვილის 26

(ბ) *მყიდველს* სურს პერიოდულად შეიძინოს *გამყიდველისაგან* *პროდუქცია*, ხოლო *გამყიდველს* სურს მიჰყიდოს იგი *მყიდველს*.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 *პროდუქციის* გაყიდვა, შეძენა და გადაცემა:

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში *გამყიდველი* პერიოდულად (*შეკვეთის* შესაბამისად) ჰყიდის და საკუთრებაში გადასცემს *პროდუქციას* *მყიდველს*, ხოლო *მყიდველი* ყიდულობს და საკუთრებაში იღებს ამ *პროდუქციას* *ხელშეკრულებით* დადგენილი პირობებით. *მყიდველი* თანახმაა გადაიხადოს *პროდუქციის* ღირებულება, როგორც ეს განსაზღვრულია *ხელშეკრულებით*.

გამყიდველი *მყიდველი*

4. ფინანსური პირობები და ანგარიშსწორების წესი

4.1 *პროდუქციის* ღირებულება:

4.1.1 *გამყიდველის* მიერ *მყიდველისათვის* საკუთრებაში გადასაცემი *პროდუქციის* ღირებულება განისაზღვრება *ხელშეკრულების* №1 დანართით.

4.1.2 *გამყიდველი* უფლებამოსილია შეცვალოს *ხელშეკრულებით* განსაზღვრული ფასები ნებისმიერ დროს და ამის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს *მყიდველს* ასეთი ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 3 დღისა. თუ ამგვარი შეტყობინების განხორციელებიდან 2 დღის ვადაში *მყიდველი* წერილობით არ უარყოფს შეცვლილ პირობას, მაშინ აღნიშნული ცვლილება ჩაითვლება *მხარეებს* შორის შეთანხმებულად, ხოლო თუ მითითებულ ვადაში *მყიდველი* წერილობით უარყოფს შეთავაზებულ შეცვლილ ფასს, მაშინ *გამყიდველის* ვალდებულება - მიაწოდოს *მყიდველს* ასეთი შეცვლილი ფასის მქონე *პროდუქცია* - უქმდება.

4.2 *მყიდველი* ვალდებულია სრულად გადაუხადოს *გამყიდველს მიწოდებული პროდუქციის* ღირებულება ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე კალენდარული თვის ბოლო დღისა. ამასთანავე, თუ ერთ საანგარიშო თვეში მყიდველის მიერ განხორციელდა რამოდენიმე შეკვეთა, მაშინ გამყიდველი პროდუქციის მიწოდებას განახორციელებს მხოლოდ მყიდველის მიერ წინა შეკვეთების შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ. აღნიშნულის მიუხედავად, მყიდველის ვალდებულება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გადაიხადოს საანგარიშო თვეში ფაქტიურად მიღებული პროდუქციის ღირებულება რჩება ძალაში.

4.3 *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული ყველა ფულადი ვალდებულება უნდა განხორციელდეს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მიწოდება

5.1 *გამყიდველის* მიერ *მყიდველისათვის პროდუქციის* მიწოდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი *შეკვეთის* საფუძველზე. *შეკვეთაში* მითითებულ უნდა იქნას მისაწოდებელი *პროდუქციის* სახეობა და რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს №1 დანართში მითითებულ სახეობებს და ზღვრულ მინიმალურ და მაქსიმალურ რაოდენობებს.

5.2 *გამყიდველმა პროდუქციის* მიწოდება უნდა განახორციელოს შესაბამისი *შეკვეთის* განხორციელებიდან 2 (ორი)] სამუშაო დღის ვადაში. მიწოდების ადგილია *მყიდველის ხელშეკრულებაში* მითითებული მისამართი.

5.3 მიწოდების მომენტიდანვე *მყიდველზე* გადადის *პროდუქციის* შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი.

5.4 მიწოდებისას *მყიდველი* უფლებამოსილია შეამოწმოს *პროდუქციის* მდგომარეობა და რაოდენობა ხოლო რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მაშინვე უნდა აცნობოს ამის შესახებ *გამყიდველს*, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწოდებული *პროდუქცია* ჩაითვლება უნაკლოდ. *გამყიდველი* ვალდებულია გონივრულ ვადაში შეცვალოს ნაკლის მქონე *პროდუქცია*, თუ *მყიდველმა* აცნობა მას ამის შესახებ წინამდებარე პუნქტით დადგენილი წესით.

5.5 ყოველ მიწოდებაზე *მხარეები* აფორმებენ ზედნადებს, რაც ადასტურებს მასში მითიებული სახეობისა და რაოდენობის *პროდუქციის* მიწოდების ფაქტს.

5.6 *პროდუქცია* მიწოდებულად ითვლება და მასზე საკუთრების უფლება *მყიდველზე* გადადის *ხელშეკრულების* 5.5 პუნქტით გათვალისწინებული ზედნადების გაფორმების მომენტიდან.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 *მხარეები* ვალდებული არიან *ხელშეკრულებით* ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 *გამყიდველის* მიერ *ხელშეკრულების* 5.2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში *მყიდველი* უფლებამოსილია მოსთხოვოს მას პირგასამტეხლო ასეთი შეუსრულებელი ვალდებულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3 *მყიდველის* მიერ *ხელშეკრულების* 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში *გამყიდველი* უფლებამოსილია მოსთხოვოს მას პირგასამტეხლო ასეთი შეუსრულებელი ვალდებულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7. ფორს-მაჟორი

7.1 არცერთი *მხარე* არ აგებს პასუხს *ხელშეკრულებით* ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია *ფორს მაჟორული გარემოებით* და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა *ხელმოწერის* *დღის* შემდეგ.

7.2 *ფორს-მაჟორული* *გარემოების* წარმოშობის შემდეგ, *მხარე*, რომლისთვისაც ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოების შესახებ, ვალდებულია, აცნობოს მეორე *მხარეს* წერილობით დაუყოვნებლივ, ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის (თუ შესაძლებელია ხანგრძლივობის განსაზღვრა) და *ხელშეკრულებაზე* მისი შესაძლო ზემოქმედების ისევე როგორც *ფორს-მაჟორული* *გარემოების* დასრულების შესახებ.

7.3 თუ *ფორს-მაჟორული* *გარემოება* იწვევს *ხელშეკრულებიდან* გამომდინარე რომელიმე ვალდებულების შესრულების უწყვეტ შეყოვნებას არაუმეტეს 3 (სამ)] თვისა, შესრულების ეს ვადა გაგრძელდება *ფორს-მაჟორული* *გარემოების* მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად. თუ ასეთი შეყოვნება აჭარბებს 3 (სამ) თვეს უწყვეტად, მაშინ *მხარეებს* უფლება ექნებათ შეწყვიტონ წინამდებარე *ხელშეკრულება* გაფრთხილების გარეშე.

8. დავების გადაწყვეტა

8.1 მშვიდობიანი გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა თავდაპირველად წერილობით უნდა ეცნობოს სხვა *მხარეს*. *მხარეები* იღებენ ყველა ზომას, რათა *ხელშეკრულებასთან* დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა ან უთანხმება (მათ შორის თვით ამ *ხელშეკრულების* არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი) (შემდგომში "*დავა*") გადაწყდეს მოლაპარაკების გზით სანამ მიმართავენ სასამართლოს. მიუხედავად ამისა, თუ *მხარეები* სხვაგვარად არ გადაწყვეტენ, სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია ხსენებული შეტყობინების გაგზავნიდან 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ.

8.2. საარბიტრაჟო პროცესი

თუ ვერ გადაწყდება მშვიდობიანად, მაშინ ნებისმიერი *დავა* გადაწყდება სასამართლოს გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. *ხელშეკრულების* მოქმედების ვადა და შეწყვეტა

9.1 *ხელშეკრულება* ძალაში შედის *ხელმოწერის დღეს* და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2 *ხელშეკრულებით* გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება *მხარეთა* ურთიერთშეთანხმებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3 *ხელშეკრულება* შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხოლოდ:

ა) *მხარეთა* წერილობითი შეთანხმებით

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.4 წინამდებარე *ხელშეკრულება* და მისი დანართები, წარმოადგენს ერთ მთლიან ხელშეკრულებას.

10. სხვა პირობები

10.1 *ხელშეკრულება* შედგენილია 2 (ორ) თანაბარ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

10.2 *ხელშეკრულებაში* ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით (ამ 10.2. პუნქტის ჩათვლით) ხელმოწერილი ორივე *მხარის* მიერ და წარმოადგენს *ხელშეკრულების* განუყოფელ ნაწილს.

10.3 ერთი *მხარის* მიერ მეორე *მხარისადმი* ნებისმიერი შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით და გაგზავნილ უნდა იქნას ფოსტით, კურიერის მეშვეობით, ფაქსით ან ელ-ფოსტით შესაბამისი *მხარის* იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია *ხელშეკრულებაში.*

10.4 წინამდებარე *ხელშეკრულებიდან* გამომდინარე რომელიმე უფლება ან ვალდებულება არ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს რომელიმე მესამე პირს სხვა *მხარის* წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.5 თუ *ხელშეკრულების* რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ მოახდენს გავლენას ამ *ხელშეკრულების* სხვა დებულებების ნამდვილობაზე, თუ საკარაუდოა, რომ *ხელშეკრულება* ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა. ამ შემთხვევაში ბათილი დებულება უნდა შეიცვალოს ისეთი ნამდვილი და აღსრულებადი დებულებით ან დებულებებით, რომლებიც რაც შეიძლება მიახლოვებულად ასახავენ ბათილ დებულებასთან დაკავშირებულ *მხარეთა* განზრახვას.

10.6 *ხელშეკრულება* წარმოადგენს მის *მხარეთა* შორის სრულ ურთიერთგაგებას და გარიგებას მასში გათვალისწინებულ საგანზე და უპირატესობა გააჩნია და აუქმებს მანამდე არსებულ ყველა ზეპირ თუ წერილობით გარანტიებს, შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებსა და თანხმობებს ნებისმიერი *მხარის* მიერ აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით.

10.7 *ხელშეკრულების* მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

შ.პ.ს. „თერგი XXII“	ს.ს.ი.პ.„კონსტიტუციონალიზმის
ლეონიძის 31	კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული
ს/კ 245629057	ცენტრი“
ს.ს. „საქართველოს ბანკის” ცენტრალური ფილიალი	მელაშვილის 26
ბანკის კოდი: bagage22	ს/კ 2045788242
ა/ნ 872947000	
დირექტორი: ედნარ ბაგრატიონი	დირექტორი: ავთანდილ დუმეტრაშვილი